

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2017 წლის 10 იანვარი

ქ. მარნეული

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დანართი N1 შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნაზი აბდულაევი

დანართი №1

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | | | 2017 წლის გეგმა | | |
|-------------------------|-----------------|-----------------|----------------------|--------------------------------------------------------------|-----------------|----------------------|--------------------------------------------------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | საკუთარი შემოსავლები | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| შემოსავლები | 22249.1 | 22449.9 | 16503.1 | 5946.8 | 21623.3 | 17942.3 | 3681.0 |
| გადასახადები | 3912.3 | 8770.2 | 8770.2 | 0.0 | 8793.0 | 8793.0 | 0.0 |
| გრანტები | 15051.6 | 10803.8 | 4856.9 | 5946.8 | 9184.7 | 5503.7 | 3681.0 |
| სხვა შემოსავლები | 3285.2 | 2876.0 | 2876.0 | 0.0 | 3645.6 | 3645.6 | 0.0 |
| ხარჯები | 11828.0 | 13150.1 | 12937.5 | 212.6 | 12529.2 | 12506.8 | 22.4 |
| შრომის ანაზღაურება | 2512.6 | 3252.2 | 3252.2 | 0.0 | 2800.3 | 2800.3 | 0.0 |
| საქონელი და მომსახურება | 2548.0 | 2835.4 | 2647.2 | 188.1 | 2510.0 | 2487.6 | 22.4 |
| პროცენტი | 102.5 | 84.7 | 84.7 | 0.0 | 64.5 | 64.5 | 0.0 |



| | | | | | | | |
|---------------------------------|---------|---------|---------|--------|---------|---------|--------|
| სუბსიდიები | 5044.9 | 5111.6 | 5111.6 | 0.0 | 5608.4 | 5608.4 | 0.0 |
| გრანტები | 190.8 | 337.1 | 337.1 | 0.0 | 45.0 | 45.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 839.9 | 1068.1 | 1068.1 | 0.0 | 770.0 | 770.0 | 0.0 |
| სხვა ხარჯები | 589.3 | 461.0 | 436.5 | 24.5 | 731.0 | 731.0 | 0.0 |
| საოპერაციო სალდო | 10421.1 | 9299.8 | 3565.7 | 5734.2 | 9094.1 | 5435.5 | 3658.6 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 11616.2 | 10288.5 | 5347.2 | 4941.3 | 11922.0 | 7352.1 | 4569.9 |
| ზრდა | 11882.3 | 10597.6 | 5656.3 | 4941.3 | 12370.8 | 7800.9 | 4569.9 |
| კლება | 266.1 | 309.1 | 309.1 | 0.0 | 448.8 | 448.8 | 0.0 |
| მთლიანი სალდო | -1195.0 | -988.7 | -1781.5 | 792.9 | -2827.9 | -1916.6 | -911.3 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -1774.8 | -1340.4 | -2107.6 | 767.2 | -3121.1 | -2160.1 | -961.1 |
| ზრდა | 0.0 | 767.2 | 0.0 | 767.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 767.2 | 0.0 | 767.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 1774.8 | 2107.6 | 2107.6 | 0.0 | 3121.1 | 2160.1 | 961.1 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1774.8 | 2107.6 | 2107.6 | 0.0 | 3121.1 | 2160.1 | 961.1 |
| ვალდებულებების ცვლილება | -579.8 | -351.8 | -326.1 | -25.7 | -293.2 | -243.5 | -49.7 |
| კლება | 579.8 | 351.8 | 326.1 | 25.7 | 293.2 | 243.5 | 49.7 |
| საშინაო | 579.8 | 351.8 | 326.1 | 25.7 | 293.2 | 243.5 | 49.7 |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 21.01.2017წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 21.02.2017წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 მარტის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 20.03.2017წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აპრილის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 07.04.2017წ.

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

| ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2015 ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | | | 2017 წლის გეგმა | | |
|-----------------|------------|-----------------|----------------------|--------------------------------------------------------------|-----------------|----------------------|--------------------------------------------------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | საკუთარი შემოსავლები | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| | | | | | | | |



| | | | | | | | |
|-----------------------------------------------|----------------|----------------|----------------|---------------|----------------|----------------|---------------|
| შემოსულობები | 22515.2 | 22759.0 | 16812.2 | 5946.8 | 22072.1 | 18391.1 | 3681.0 |
| შემოსავლები | 22249.1 | 22449.9 | 16503.1 | 5946.8 | 21623.3 | 17942.3 | 3681.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 266.1 | 309.1 | 309.1 | 0.0 | 448.8 | 448.8 | 0.0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| გადასახდელები | 24290.0 | 24099.5 | 18919.8 | 5179.6 | 25193.2 | 20551.2 | 4642.1 |
| ხარჯები | 11828.0 | 13150.1 | 12937.5 | 212.6 | 12529.2 | 12506.8 | 22.4 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 11882.3 | 10597.6 | 5656.3 | 4941.3 | 12370.8 | 7800.9 | 4569.9 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების კლება | 579.8 | 351.8 | 326.1 | 25.7 | 293.2 | 243.5 | 49.7 |
| ნაშთის ცვლილება | -1774.8 | -1340.4 | -2107.6 | 767.2 | -3121.1 | -2160.1 | -961.1 |

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 21.01.2017წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 21.02.2017წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 მარტის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 20.03.2017წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აპრილის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 07.04.2017წ.

მუხლი 3. მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | | | 2017 წლის გეგმა | | |
|------------------|-----------------|-----------------|----------------------|---------------------------------------------------------|-----------------|----------------------|---------------------------------------------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან განთავსებული ტრანსფერები |
| | | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან განთავსებული ტრანსფერები | | | |
| შემოსავლები | 22249.1 | 22449.9 | 16503.1 | 5946.8 | 21623.3 | 17942.3 | 3681.0 |
| გადასახადები | 3912.3 | 8770.2 | 8770.2 | 0.0 | 8793.0 | 8793.0 | 0.0 |
| გრანტები | 15051.6 | 10803.8 | 4856.9 | 5946.8 | 9184.7 | 5503.7 | 3681.0 |
| სხვა შემოსავლები | 3285.2 | 2876.0 | 2876.0 | 0.0 | 3645.6 | 3645.6 | 0.0 |

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 21.01.2017წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 21.02.2017წ.



მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

| დასახელება | 2015წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | | | 2017 წლის გეგმა | | |
|-----------------------------------------------|----------------|-----------------|----------------------|-------------------------------------------------------|-----------------|----------------------|-------------------------------------------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| გადასახადები | 3892.1 | 8770.2 | 8770.2 | 0.0 | 8793.0 | 8793.0 | 0.0 |
| საშემოსავლო გადასახადი | 0.0 | 3570.6 | 3570.6 | 0.0 | 4000.0 | 4000.0 | 0.0 |
| ქონების გადასახადი | 3892.1 | 5199.5 | 5199.5 | 0.0 | 4793.0 | 4793.0 | 0.0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 948.6 | 2072.3 | 2072.3 | 0.0 | 1350.0 | 1350.0 | 0.0 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 0.0 | 51.2 | 51.2 | 0.0 | 52.0 | 52.0 | 0.0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 20.0 | 28.6 | 28.6 | 0.0 | 36.0 | 36.0 | 0.0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 1896.6 | 1870.4 | 1870.4 | 0.0 | 2150.0 | 2150.0 | 0.0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 1024.6 | 1177.1 | 1177.1 | 0.0 | 1205.0 | 1205.0 | 0.0 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 2.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|---------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| გრანტები | 15051.6 | 10803.8 | 9184.7 |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 15051.6 | 10803.8 | 9184.7 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 9164.5 | 4856.9 | 5503.7 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 8914.5 | 4612.5 | 5253.7 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 250.0 | 244.4 | 250.0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 5887.1 | 5946.8 | 3681.0 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 5887.1 | 5946.8 | 3681.0 |



| | | | |
|---------------------------|-----|-----|-----|
| სხვა სპეციალური ტრანსფერი | 0.0 | 0.0 | 0.0 |
|---------------------------|-----|-----|-----|

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 21.01.2017 წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აპრილის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 07.04.2017წ.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|-----------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| სხვა შემოსავლები | 3285.2 | 2876.0 | 3645.6 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 1297.0 | 1019.8 | 1428.2 |
| პროცენტები | 735.0 | 307.8 | 700.0 |
| რენტა | 562.0 | 712.0 | 728.2 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 421.9 | 549.8 | 578.2 |
| შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 140.1 | 162.2 | 150.0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 689.7 | 986.1 | 1117.4 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 685.5 | 981.4 | 1111.4 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 35.0 | 45.5 | 50.0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 2.0 | 1.0 | 4.0 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 627.5 | 802.2 | 857.4 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 21.0 | 132.8 | 200.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 4.2 | 4.7 | 6.0 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 4.2 | 4.7 | 6.0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 1272.8 | 853.9 | 1100.0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 25.8 | 16.3 | 0.0 |

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 21.01.2017 წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 21.02.2017წ.

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | | 2017 წლის გეგმა | |
|------------|-----------------|-----------------|--|-----------------|--|
| | | მათ შორის | | მათ შორის | |
| | | | | | |



| | სულ | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | სულ | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | |
|-------------------------|---------|----------------------|-------------------------------------------------------|-------|----------------------|-------------------------------------------------------|------|
| ხარჯები | 11828.0 | 13150.1 | 12937.5 | 212.6 | 12529.2 | 12506.8 | 22.4 |
| შრომის ანაზღაურება | 2512.6 | 3252.2 | 3252.2 | 0.0 | 2800.3 | 2800.3 | 0.0 |
| საქონელი და მომსახურება | 2548.0 | 2835.4 | 2647.2 | 188.1 | 2510.0 | 2487.6 | 22.4 |
| პროცენტი | 102.5 | 84.7 | 84.7 | 0.0 | 64.5 | 64.5 | 0.0 |
| სუბსიდიები | 5044.9 | 5111.6 | 5111.6 | 0.0 | 5608.4 | 5608.4 | 0.0 |
| გრანტები | 190.8 | 337.1 | 337.1 | 0.0 | 45.0 | 45.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 839.9 | 1068.1 | 1068.1 | 0.0 | 770.0 | 770.0 | 0.0 |
| სხვა ხარჯები | 589.3 | 461.0 | 436.5 | 24.5 | 731.0 | 731.0 | 0.0 |

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 21.01.2017 წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 21.02.2017წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 მარტის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 20.03.2017წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აპრილის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 07.04.2017წ.

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

| კოდი | დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|-------|-----------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 282.8 | 456.8 | 139.0 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 0.9 | 0.0 | 0.0 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 10164.1 | 8755.7 | 10594.0 |
| 04 00 | განათლება | 566.0 | 789.2 | 1267.4 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 868.5 | 594.9 | 369.4 |
| 06 00 | სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები | 0.0 | 1.0 | 1.0 |
| | სულ ჯამი | 11882.3 | 10597.6 | 12370.8 |

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|------------|-----------------|-----------------|-----------------|
| | | | |



| | | | |
|------------------------------|-------|-------|-------|
| არაფინანსური აქტივების კლება | 230.0 | 309.1 | 448.8 |
| ძირითადი აქტივები | 20.0 | 93.5 | 298.8 |
| არაწარმოებული აქტივები | 210.0 | 215.6 | 150.0 |
| მიწა | 210.0 | 215.6 | 150.0 |

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 21.01.2017 წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 21.02.2017წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 მარტის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 20.03.2017წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აპრილის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 07.04.2017წ.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

| ფუნქც-კოდი | დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 4293.9 | 5252.8 | 4423.5 |
| 7011 | ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 4191.4 | 5168.2 | 4359.0 |
| 70111 | ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 4050.4 | 5009.3 | 4026.4 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 141.0 | 158.8 | 332.6 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 102.5 | 84.7 | 64.5 |
| 702 | თავდაცვა | 142.9 | 181.0 | 160.9 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 208.3 | 0.0 | 0.0 |
| 7032 | სახანძრო-სამაშველო სამსახური | 208.3 | 0.0 | 0.0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 8213.5 | 7718.1 | 8973.4 |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | 588.8 | 667.0 | 161.7 |
| 70435 | ელექტროენერგეტიკა | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7045 | ტრანსპორტი | 5646.7 | 5242.1 | 8291.9 |
| 70451 | სავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 5646.7 | 5242.1 | 8291.9 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში | 1978.0 | 1809.1 | 519.8 |
| 705 | გარემოს დაცვა | 1712.1 | 1089.9 | 1102.0 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 1054.6 | 1075.0 | 1072.0 |



| | | | | |
|------------|-------------------------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 657.4 | 14.9 | 30.0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 3954.7 | 3535.1 | 3921.1 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 403.9 | 41.6 | 100.0 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 148.0 | 442.9 | 253.1 |
| 7063 | წყალმომარაგება | 2857.8 | 2220.7 | 2505.2 |
| 7064 | გარე განათება | 545.1 | 829.9 | 923.7 |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 0.0 | 0.0 | 139.2 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 137.5 | 143.2 | 140.0 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 137.5 | 143.2 | 140.0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 2599.9 | 2661.8 | 2243.1 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 1254.5 | 1438.5 | 1179.6 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1299.7 | 891.5 | 825.6 |
| 7083 | ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 34.8 | 72.0 | 57.6 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 10.8 | 259.8 | 180.3 |
| 709 | განათლება | 1942.4 | 2431.5 | 3491.8 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1873.4 | 2302.4 | 3310.3 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 69.0 | 129.2 | 181.5 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 69.0 | 129.2 | 181.5 |
| 710 | სოციალური დაცვა | 1084.8 | 1085.9 | 737.5 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 481.3 | 613.5 | 450.0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 491.6 | 356.5 | 282.5 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 111.9 | 115.9 | 5.0 |
| | სულ | 24290.0 | 24099.5 | 25193.2 |

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 21.01.2017 წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 თებერვლის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 21.02.2017წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 მარტის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 20.03.2017წ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აპრილის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 07.04.2017წ.

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის



მთლიანი სალდო 2833.3 ათასი ლარის ოდენობით.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 21.01.2017 წ.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

- ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -3121.1 ათასი ლარის ოდენობით;
- ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 3121.1 ათასი ლარის ოდენობით.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 21.01.2017 წ.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება – 287,9 ათასი ლარის ოდენობით.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 21.01.2017 წ.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 150,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 250,0 ათასი ლარი მიიმართოს:

- ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 115,0 ათასი ლარის ოდენობით;
- ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 130,0 ათასი ლარის ოდენობით;
- გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათასი ლარის ოდენობით.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდექს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ის ფარგლებში. ცვლილების განხორციელებიდან ერთი თვის ვადაში ინფორმაცია ცნობის სახით მიეწოდოს ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანოს.

მუხლი 17

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 101-ე მუხლის საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებებში 32,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.

მუხლი 18. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მარნეულის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი



გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2017 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებში უზრუნველყოფილი იქნება სარწყავი არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია; კერძოდ, სოფლების – თამარისის, თაქალოს, ქუთლიარის, ბაიდარის, მულაღნოს, სადახლოს, კაჩაგანის, კაპანახჩის, ალგეთის, შაუმიანის, პირველი ქესალოს, მეორე ქესალოს, ხანჯიგაზლოს, წერაქვის, ნორგიულის, ბეგლიარის, ზემო სალარის, ზემო ყულარის, წერეთლის, აღმამედლოს, დამია-გეურახის, ახლო-ლალოს, ლეჟბადინის, ქეშალოს შიდა გზების რეაბილიტაცია; კასუმლოში საგზაო ნიშნების შემაკავებელი ბარიერების დაყენება; არაფლოში, სადგურ სადახლოში, იმირჭალაში, სიონში, მარადისში, სვანების დასახლებაში და სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ყიზლაჯლოში სკოლის გარშემო ასფალტის დაგება, ცოფში ავტობუსების მოსაცდელების მოწყობა.

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის, მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად, სოფლებში: თამარისი – 170,8 ათ.ლარი, თაქალო – 137,2 ათ.ლარი, სადახლო – 189,6 ათ.ლარი, კაჩაგანი – 164,0 ათ.ლარი, კაპანახჩი – 161,6 ათ.ლარი, ალგეთი – 217,9 ათ.ლარი, შაუმიანი – 182,4 ათ.ლარი, პირველი ქესალო – 138,1 ათ.ლარი, მეორე ქესალო – 137,7 ათ.ლარი, ქეშალო – 162,0 ათ.ლარი, ხანჯიგაზლო – 138,3 ათ.ლარი, არაფლო – 395,3 ათ.ლარი, სიონი – 50,5 ათ.ლარი, წერაქვი – 125,1 ათ.ლარი, ნორგიული – 152,0 ათ.ლარი, ბეგლიარი – 69,9 ათ.ლარი, სულ 2592,4 ათ. ლარი.

7,1 ათ. ლარი – საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის №78 განკარგულებით, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“, მიღებული ტრანსფერის ნაშთი გათვალისწინებულია სოფელ შაუმიანში ხიდის რეაბილიტაციისათვის.“

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №569 განკარგულებით, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებაში, შეტანილი ცვლილების თანახმად მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გზების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი ტრანსფერი 3040,8 ათასი ლარი მოხმარდება შემდეგი პროექტების განხორციელებას:

200,4 ათასი ლარი – სოფელ თამარისის შიდა გზების რეაბილიტაცია;

161,0 ათასი ლარი – სოფელ თაქალოს შიდა გზების რეაბილიტაცია;

222,4 ათასი ლარი – სოფელ სადახლოს შიდა გზების რეაბილიტაცია;

192,4 ათასი ლარი – სოფელ კაჩაგანის შიდა გზების რეაბილიტაცია;

189,5 ათასი ლარი – სოფელ კაპანახჩის შიდა გზების რეაბილიტაცია;

255,6 ათასი ლარი – სოფელ ალგეთის შიდა გზების რეაბილიტაცია;

213,9 ათასი ლარი – სოფელ შაუმიანის შიდა გზების რეაბილიტაცია;

162,0 ათასი ლარი – სოფელ I ქესალოს შიდა გზების რეაბილიტაცია;



161,5 ათასი ლარი – სოფელ II ქესალოს შიდა გზების რეაბილიტაცია;

190,1 ათასი ლარი – სოფელ ქეშალოს შიდა გზების რეაბილიტაცია;

162,2 ათასი ლარი – სოფელ ხანჯიგაზლოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;

463,6 ათასი ლარი – სოფელ არაფლოში მისასვლელი გზის მოსაფალტება;

59,3 ათასი ლარი – სოფელ სიონში სვანების დასახლებაში ქვემო უბნის და სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;

146,7 ათასი ლარი – სოფელ წერაქვში შიდა გზების რეაბილიტაცია (II ეტაპი);

178,3 ათასი ლარი – სოფელ ნორგიულის შიდა გზების რეაბილიტაცია;

82,0 ათასი ლარი – სოფელ ბეგლიართან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია (II ეტაპი);

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებში წყალმომარაგების, სარწყავი არხების, ქ. მარნეულის საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება ახალი ნაგავსაყრელის გამართული ფუნქციონირება, მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

ბ.ა) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სოფლებში ბურმაში, ქვემო სარალში, კირაჩმულალოში, კაჩაგანში, დამიაში წყალსადენი სისტემის მოწყობა, ალგეთში, აღმამედლოში, იმირში, ხიხანში, ქეშალოში, ამბაროვკაში, თაზაქენდში და ალგეთის ღვინის ქარხანაში სასმელი წყლის რეაბილიტაცია, მოსახლეობის ზედაპირული გრუნტის წყლის მოხვედრისაგან დაცული, მაღალი ხარისხის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის, მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად, სოფლებში: იმირი – 244, 2 ათ.ლარი, ბურმა – 47, 9 ათ.ლარი, ქვემო სარალი – 172, 4 ათ.ლარი, დამია – 64, 0 ათ.ლარი, სულ 528, 5 ათ. ლარი.“

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №569 განკარგულებით, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებაში, შეტანილი ცვლილების თანახმად მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გზების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი ტრანსფერი 619, 2 ათასი ლარი მოხმარდება შემდეგი პროექტების განხორციელებას:

286, 5 ათასი ლარი – სოფელ იმირში სასმელი წყლის ჭაბურღილის და სატუმბი სადგურის მოწყობა;

56, 2 ათასი ლარი – სოფელ ბურმაში წყალსადენის სისტემის მოწყობა;

201, 4 ათასი ლარი – სოფელ ქვემო სარალში წყალსადენის სისტემის მოწყობა;

75, 1 ათასი ლარი – სოფელ დამიაში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა;

ბ.ბ) შპს "მარნეულის სოფწყალი"-ს დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოების სოფლებისათვის სასმელი წყლის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით შ.პ.ს „მარნეულის სოფწყალი“-ს სუბსიდირება.

ბ.გ) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის სოფლებში – ლეჟბადინში, ბაიდარში მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები; ქ. მარნეულში მდინარე ალგეთზე დაგეგმილია ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება და რუსთაველის ქ.№7-ის მე-8, ჩიხში და სოფელ ბეითარაბჩიში სარწყავი სისტემის მოწყობა მოსახლეობის სარწყავი წყლით



უზრუნველყოფის მიზნით.

ბ.დ) საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ქ. მარნეულში მრავალსართულიანი კორპუსების გარე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია.

ბ.ე) მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების მოწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ.მარნეულში მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების სახურავის შეკეთება და კედლების გამაგრება.

ბ.ვ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და მიმდინარე რეაბილიტაცია, აგრეთვე ქ.მარნეულში რამდენიმე ქუჩაზე (საბირის, 300 არაგველის, ჰამლეტის, მამედოვის, ბაბუკის, ნასიმის, 9 ძმის) და სოფლებში ყიზილაჯლოში, წითელ სოფელში, დიდ ბეგლიარში, ბეითარაფჩიში, ულაშლოში, დამიაში, კიროვკაში, ბურმაში, გიულბაზში, სეითგოჯალოში, გარე განათების ქსელის მოწყობა.“.

ბ.ზ) ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში საჭიროების მიხედვით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. დაგეგმილია ახალი ნაგვის ურნების შექმნა.

მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

ბ.თ) ა(ა)იპ „სუფთა მარნეულის“ დაფინანსება

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება, დაგეგმილია სოფელ ალგეთში სანაგვე ურნების დადგმა, ასევე ახალი ნაგვის ურნების შექმნა.

ბ.ი) „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს“ დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შპს „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს“ სუბსიდირება, ნაგავსაყრელის სრული დატვირთვით მუშაობის უზრუნველსაყოფად, რაც აუმჯობესებს ქალაქის სანიტარიულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას.

ბ.კ) სასაფლაოების და სარიტუალო სახლების მოწყობა და რეაბილიტაცია ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ თამარისში რიტუალების სახლის მოპირკეთება და ავეჯის შექმნა, ქ.მარნეულში კოსტავას ქუჩაზე სასაფლაოს შემოღობვა.

გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, შენობა-ნაგებობების საკადასტრო რუკებისა და ნახაზების მომზადება.

გ.ა) სკვერებისა და პარკების გაშენება-რეკონსტრუქციისა და ქალაქის გამწვანების და მოვლა პატრონობის ღონისძიებები ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, კერძოდ ქ.მარნეულში და სოფლებში წერეთელში, დიდ მულალნოში და სადახლოში სკვერების მოწყობა, თამარისში და წერეთელში ბავშვთა გასართობი მოედნის, ბაითალოში გასართობი და დასვენების მოედნის მოწყობა.“

დ) მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები

მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტობარკის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით მისი სუბსიდირება. იგეგმება ერთი ავტობუსის შექმნა .

ე) სოფლის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება 2017 წლის ასიგნების ფარგლებში მოხდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს



მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის ნაშთის 34,0 ათასი ლარის წარმართვა.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“, გამოყოფილი ტრანსფერიდან დარჩენილი თანხა – 479,97 ათასი ლარი მოხმარდება სოფლის ხელშეწყობის პროექტების განხორციელებას, ბიუჯეტის დანართი №2-ის შესაბამისად. კერძოდ:

სოფლებში შიდა გზების სარეაბილიტაციოდ – 226,7 ათასი ლარი.

წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციოდ – 51,3 ათასი ლარი.

სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით – 34,8 ათასი ლარი სარწყავი არხების სარეაბილიტაციოდ. სავარგულების შემოღობვაზე – 0,5 ათასი ლარი.

სოფლებში გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაციისათვის – 32,6 ათასი ლარი.

კეთილმოწყობაზე 0,1 ათასი ლარი სკვერის მოსაწყობად – 0,8 ათასი ლარი მოსაცდელის მოსაწყობად – 1,1 ათასი ლარი ახალგაზრდული ცენტრის მოსაწყობად.

მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად სარიტუალო სახლის რეაბილიტაციაზე, სასაფლაოების შემოღობვაზე, სარიტუალო ინვენტარის შეძენაზე – 5,5 ათასი ლარი.

სპორტული ობიექტების მოსაწყობად – 1,8 ათასი ლარი.

სპორტული ინვენტარის შესაძენად – 12,3 ათასი ლარი.

კულტურის ობიექტების რეაბილიტაციაზე – 1,5 ათასი ლარი.

3. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

ა) ა(ა) იპ „სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ დაფინანსება

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 13 საბავშვო ბაღი. პროგრამის ფარგლებში მოხდება ააიპ – „სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ სუბსიდირება არსებული საბავშვო ბაღების სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის, მათი ნორმალური ფუნქციონირების მიზნით.

ბ) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ, სოფელ საიმერლოსა და სადახლოში საბავშვო ბაღის მშენებლობა; სოფელ შაუმიანის საბავშვო ბაღის დარბაზის კეთილმოწყობა, ბაღებში ატრაქციონების მოწყობა და ავეჯის შეძენა.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულებით, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერიდან დარჩენილი თანხა, 456,0 ათასი ლარი, მოხმარდება სოფელ ალგეთის საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობას.

